პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

9 იანვარი, ხუთშაბათი, 1986 წ.
№ 6 (9097) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტული ნაგებობების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად

ყურადღება!

„ლელოს“ რედაქციაში შეიქმნა ჯანმრთელობისა და აქტიური დასვენების ბიურო

დედაქალაქი ყველაფერში მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს. როცა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მასობრიობაზე ვლაპარაკობთ, როცა წინსვლის გზებსა და მასების ფიზკულტურასთან დამეგობრების ეფექტურ საშუალებებს ვეძებთ, უპირველესი იმედი თბილისია. აქ დანერგილი სიახლე შემდეგ რესპუბლიკის სხვა რეგიონებშიც ვრცელდება, სხვისთვის მისაბაძი ხდება თბილისელთა ენთუზიაზმი. ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, ცხადია, ვერ გაიშლება შესაბამისი კერების გარეშე. კეთილმოწყობილი ბაზა და კულტურული ობიექტი კი თბილისში ახლა ცოტა როდი გვაქვს. მაგრამ როგორ ვიყენებთ მათ, როგორ არის ორგანიზებული მომსახურება, არის თუ არა შექმნილი ფასიანი გამაჯანსაღებელი ჯგუფები, რა სამსახურს სთავაზობენ ისინი მოსახლეობას შაბათს და კვირას — დასვენების დღეებში?

გადავწყვიტეთ რედაქციაში შევქმნათ ჯანმრთელობისა და აქტიური დასვენების ბიურო. ყოველ პარასკევს, 13 საათამდე სპორტული ბაზებისა და საკლუბო დაწესებულებების ხელმძღვანელები წერილობით ან ტელეფონით გვაცნობებენ, სად და რას შესთავაზებენ თბილისელებს.

მაშ ასე, ჩვენი ბიურო ხვალიდანვე იწყებს მუშაობას. პირველ მიწვევას 11 იანვარს, შაბათის ნომერში გამოვაქვეყნებთ. შემდეგშიც ყოველ შაბათს შევეხმიანებით მკითხველს, რათა მას შესაძლებლობა ჰქონდეს დილიდანვე დაგეგმოს ორდღიანი საოჯახო დასვენება. პარასკეობით კი დღის მეორე ნახევარში, ჩვენთან ტელეფონითაც შეგიძლიათ წინდაწინ შეიტყოთ მეორე დღის პროგრამა.

აქვე გვინდა ვთქვათ, იმის მიხედვით, თუ ვინ მოგვაწვდის ცნობებს, ვინ რამდენი ხნით დაუთმობს მოსახლეობას სპორტულ ბაზებს და კულტურის კერებს, რა სამსახურს გაუწევს მათ, ვიმსჯელებთ ამ ობიექტების ეფექტიანობაზე, მათი ხელმძღვანელების საქმიან თვისებებსა და უნარზე.

ჩვენი ტელეფონები: 93-97-55, 93-97-50.

მოგვწერეთ თქვენი სურვილებიც, როგორ გინდათ, ან სად გინდათ გატაროთ, ვთქვათ, მომდევნო შაბათ-კვირა ოჯახის წევრებთან ერთად? თქვენს წინადადებებს გავაცნობთ შესაბამის ორგანიზაციებს და რედაქციაც ყველაფერს იღონებს, რომ სწორედ თქვენი ინტერესების გათვალისწინებით დაიგეგმოს დასვენების დღეების „ჯანმრთელობის პროგრამა“.

მკითხველმა უკვე იცის, რომ 1985 წლის სპორტული შედეგების მიხედვით გამოვლინდა რესპუბლიკის ათი საუკეთესო მწვრთნელი. ამჯერად უფრო ახლოს გაგაცნობთ მათ საქმიანობას, გამოვაქვეყნებთ ნარკვევებს წლის ათივე ლაურეატ მწვრთნელზე. დღეს გთავაზობთ ნარკვევს საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების უფროს მწვრთნელზე დილარ ხაბულიანზე.

ვინც ესტაფეტა მიიღო

ოცდაშვიდი წლის იყო, როცა საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტზე დანიშნეს. თითქმის უპრეცედენტო ფაქტია: რესპუბლიკის ძიუდოისტთა პირველი გუნდი ჩააბარეს გამოუცდელ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც მანამდე ერთი დღეც არ ემუშავა მწვრთნელად. თავის დროზე კარგი სპორტსმენი იყო, წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი, შემდეგ — უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მაგრამ ამ თანამდებობაზე დანიშვნამ ბევრი გააკვირვა: ჯერ არ დაღვინებულა, გამოუცდელია, ამხელა საქმეს თავს როგორ გაართმევსო... თვითონ დილარს კი ჰოჟმანი არ დაუწყია. ის კი არა და, ამბობდნენ, თავის ნებით შედგა ბეწვის ხიდზეო. მე კი მგონია, რომ მაშინ ბეწვის ხიდზე და მოსალოდნელ უსიამოვნებებზე არც უფიქრია, არც კი იცოდა რა ტვირთი შეიგდო მხრებზე. არც იმისთვის გაუწევია ანგარიში, რომ სანამ საძირკველს გაიმაგრებდა, ხელისშემშლელი და მოქილიკე უფრო მეტი იქნებოდა, ვიდრე თანამზრახველი და გამამხნევებელი. ისეც რომ არ ყოფილიყო, როგორ შეეძლო ცდუნებისთვის გაეძლო და ასეთ წინადადებას გულგრილად შეხვედროდა?

მწვრთნელი! მართლაც ბეწვის ხიდზე მოსიარულე კაცის გამძლეობა უნდა ჰქონდეს კაცს, ვინც ამ საქმეს მოჰკიდებს ხელს. ახალბედას კი არა, გამოცდილებსაც ბევრჯერ დასცდენიათ ფეხი. სპორტში მარცხისაგან არავინ არ არის დაზღვეული, ამიტომ ჭკუადამჯდარ გულშემატკივარს საყვედური არც კი დასცდება, უნებლიე შეცდომებს დიდსულოვნად მიუტევებს მწვრთნელს, თუ, რა თქმა უნდა, მას საქმისთვის თავდადებულ კაცად, ნამდვილ პროფესიონალად და სპორტის ერთგულ მსახურად თვლის. სწორედ ასეთი მწვრთნელი და პიროვნება გახლავთ მაგალითად, ბიძინა მაზიაშვილი, კაცი, რომელმაც ასე ბევრი გააკეთა ძიუდოს ქართული სკოლის დაწინაურებისთვის. მასთან ერთად საქართველოს სპორტის ამ სახეობას დიდი ამაგი დასდეს ქრისტეფორე ნინიაშვილმა და გურამ პაპიტაშვილმა. მწვრთნელთა ამ ტრიუმვირატის საქმიანობა მართლაც გამოკვეთრებული დაფასების ღირსია. დილარ ხაბულიანმა სწორედ მათგან მიიღო ესტაფეტა, დიახ, 1982 წლის ნოემბერში იგი საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი გახდა.

„გუნდი უაღრესად საპასუხისმგებლო პერიოდში ჩავიბარე. საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადამდე ნახევარ წელზე ცოტა მეტი რჩებოდა და, ცხადია, მაშინვე სამზადისს შევუდექით. ნაკრებში ძლიერი ბიჭები გვყავდა. ჩვენი მთავარი ამოცანა იყო კოლექტივი შეგვეკრა, უშეცდომოდ განგვესაზღვრა საბოლოო შემადგენლობა, თითოეული მოჭიდავისთვის ზუსტად შეგვერჩია წონითი კატეგორია... მოსამზადებელ პერიოდში არანაირი დაბრკოლება არ გადაგვღობებია, ეგ იყო, რომ გუნდის ლიდერი თემურ ხუბულური დაშავდა“...

1983 წელი, საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადა. ახალბედა მწვრთნელის დებიუტი იღბლიანი გამოდგა: საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. მეექვსე ადგილიდან გუნდმა ერთბაშად კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე გადაინაცვლა. დილარ ხაბულიანმა, რა თქმა უნდა, კარგად იცის, რომ ეს გამარჯვება უფრო მათი შრომის კეთილი ნაყოფი იყო, ვისგანაც „მემკვიდრეობა“ ჩაიბარა, მაგრამ ჩვენი სპორტის მესვეურებს, სპორტულ პრესას არც მისი წვლილი დარჩენია შეუმჩნეველი. შეაქეს, მუშაობა მოუწონეს, შეაგულიანეს. კაცმა რომ თქვას, სპარტაკიადაზე მოპოვებული გამარჯვება უფრო კანონზომიერი იყო, ვიდრე მოულოდნელი. ჩვენ ზოგჯერ ობიექტურად ვერ ვაფასებთ ჩვენი მოჭიდავეების შესაძლებლობებს, ზოგჯერ ზომაზე მეტ მოკრძალებასაც ვიჩენთ ჩვენი სპორტული კონკურენტების მიმართ. არადა, ძიუდოს ქართველმა ოსტატებმა კარგა ხანია გზა გაიკაფეს უმაღლესი სპორტული ასპარეზისკენ, ჩვენს ქვეყანაში კი სამოციანი წლებიდანვე მოწინავე პოზიციებს ინარჩუნებენ.

ბოლო სამი წელიწადი, ეს ხაზგასმით გვინდა ვთქვათ, პოზიციების განმტკიცების პერიოდი იყო. ამ მონაკვეთში საქართველოს ძიუდოისტებმა (მოზრდილებმაც და ჭაბუკებმაც) ყველა მნიშვნელოვანი საკავშირო შეჯიბრება მოიგეს: ხალხთა სპარტაკიადა, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა, ჭაბუკთა პირველი საკავშირო სპორტული თამაშები, მოიპოვეს საბჭოთა კავშირის თასი. ამას დაუმატეთ საკავშირო, ევროპულ და მსოფლიო ჩემპიონატებში, დიდ საერთაშორისო ტურნირებში მოპოვებული მედლები. ამ წარმატებათა უმრავლესობა 1985 წლის სპორტულ სეზონზე მოდის. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ამიტომაც დაასახელეს წლის საუკეთესო გუნდად, მისი უფროსი მწვრთნელი კი — ათ საუკეთესო მწვრთნელს შორის. ძიუდოს გულშემატკივარი ყველაზე მეტად ალბათ საკავშირო თასის მოპოვებამ გაახარა (შეგახსენებთ: ეს საპატიო პრიზი ექვსწლიანი შესვენების შემდეგ გათამაშდა). ეს იყო ჩვენი ძიუდოს ახალი გამარჯვება, გუნდის უფროსი მწვრთნელისა და მისი კოლეგების გამარჯვება.

„მე მხოლოდ ერთ რამეზე გავამახვილებ ყურადღებას: არც ერთ ჩვენს ძიუდოისტს არც ერთ მეტოქესთან უკან არ დაუხევია, უბრძოლველად ქულა არ დაუთმია. რამდენიმე ორთაბრძოლა კი წავაგეთ, მაგრამ პასიურობისთვის გაფრთხილება არავის მიუღია. გული დაგვწყდა, რომ ჩვენს გულშემატკივრებს საშუალება არ ჰქონდათ ტელევიზიით ენახათ ეს შეჯიბრება, თუნდაც ფინალური შეხვედრა რუსეთის ფედერაციის გუნდთან“.

დილარ ხაბულიანი, რა თქმა უნდა, ბედს ვერ დაემდურება. ბოლოს და ბოლოს, მწვრთნელის მუშაობა ხომ სპორტსმენთა გამარჯვებით ფასდება. განა იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი ძიუდოს საამაყო მიღწევები ერთი და ორი კაცის დამსახურებაა. ამ საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვით იმ ადამიანებს, ვინც ბავშვთა ჯგუფებს უძღვება, ვისი მეცადინეობითაც საქართველოს ნაკრები ახალი ძალებით ივსება. მაგრამ, ალბათ დამეთანხმებით, რომ სულ სხვაა პასუხისმგებლობა საჭესთან მდგომი კაცისა, ვისი ნაბიჯებიც სხვა საზომით იზომება და ვისი შეცდომაც, შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს. დილარ ხაბულიანი ჯერჯერობით მტკიცედ დგას თავის ადგილზე და ნაბიჯებსაც გულდინჯად ზომავს, მაგრამ მის საქმიანობას ზოგიერთები მაინც ეჭვის თვალით უყურებენ. როგორც ჩანს, როგორც მწვრთნელს, კიდევ ბევრი გამოცდის ჩაბარება მოუწევს, ვიდრე სახელოვანი წინამორბედების ღირსეულ მემკვიდრედ აღიარებენ.

ელგუჯა ბერიშვილი.

SOS

თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საზანოში თვითდინებაზეა მიშვებული ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა.

იხ. მე-2 გვ.



„დინამოს“ ჩემპიონები

თბილისში, საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში, დამთავრდა 1968–69 წლებში დაბადებულ დინამოელთა ცენტრალური საბჭოს პირველობა წყალბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის, კიევის, ლვოვის, ალმაათის, ერევნისა და თბილისის გუნდები.

როგორც ვიუწყებოდით, მასპინძლები ხუთი ქულით ერთპიროვნულად ლიდერობდნენ, მაგრამ ბოლო ტურის წინ თბილისელები მოსკოველებთან შეხვედრაში დამარცხდნენ (8:12). გუშინ ისინი კიეველებს შეხვდნენ. მატჩში, რომელსაც შეჯიბრებაში გამარჯვებული უნდა დაესახელებინა, ჩვენს ბიჭებს მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს, რადგან მოსკოველმა და ლვოველმა წყალბურთელებმა 6–6 ქულით დაამთავრეს შეჯიბრება და ამდენივე ქულა ჰქონდათ კიეველებსაც. შეხვედრის ფრედ დამთავრების შემთხვევაში ჩემპიონობას კიეველები მოიპოვებდნენ, თბილისელებს კი საერთოდ პრიზიორთა მიღმა დარჩენა ელოდათ. მასპინძლებმა თავგამოდებით იბრძოლეს და გაიმარჯვეს — 10:9. საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: თბილისი (7 ქულა), კიევი, მოსკოვი, ლვოვი (6-6), ალმა-ათა (5), ერევანი (0).

შეგახსენებთ ჩვენი გუნდის შემადგენლობას: კერესელიძე, გობეჯიშვილი, დავითიანი, ხარებოვი, ჯალალონია, სურგულაძე, კინწურაშვილი, ხარჩილაძე, ჩიტაძე, ჯადუგიშვილი, ჩოლარია, ბესო და ზაზა მასხულიები (მწვრთნელი თენგიზ ივანიშვილი).

ინფორმაცია

ფრენბურთი

ხარკოვი. აქ და ოდესაში მიმდინარეობს ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. გათამაშდა სამი ტური. ჯერჯერობით დაუმარცხებლად ასპარეზობენ ცსკა და „რადიოტექნიკი“. მათ სამ-სამი გამარჯვება აქვთ.

მძლეოსნობა

ლენინგრადი. მძლეოსანთა საკავშირო შეჯიბრებაში პირველი ადგილი სიმაღლეზე მხტომელ ვაჟთა შორის ა. მოროზოვმა დაიკავა — 229 სმ. ასეთივე შედეგით მეორე ადგილზე ვ. სერედა გავიდა. ქალთა შორის ამ სახეობაში ყველას ე. დუგინეცმა აჯობა — 192 სმ.

ფიგურული ციგურაობა

ლენინგრადი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი ფიგურულ ციგურაობაში ქალთა შორის მოსკოველმა ანა კონდრაშოვამ მოიპოვა. ვერცხლის ჯილდო მის თანაქალაქელს კირა ივანოვას ერგო. ბრინჯაოს მედალი კი სვერდლოვსკელმა ნატალია ლებედევამ დაისაკუთრა.

საქართველოს თასის გათამაშება მძლეოსნობაში

სპორტსმენებს მსაჯები ჭარბობდნენ

საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეში ჩატარდა წლევანდელი სპორტული სეზონის პირველი შეჯიბრება — საქართველოს თასის გათამაშება მძლეოსანთა შორის. ამ ბაზაზე მძლეოსანთა კიდევ ბევრი ასპარეზობა უნდა მოეწყოს და ამიტომ, ვიდრე თასის გათამაშების პერიპეტიებზე ვისაუბრებდეთ, ორიოდე სიტყვით აღვნიშნოთ, როგორ შეხვდა იგი ახალ სპორტულ სეზონს.

ჯერ კიდევ სეზონისთვის მზადების პერიოდში ჩვენი მძლეოსნობის სპეციალისტები, მათ შორის საქართველოს ნაკრების მწვრთნელები აღნიშნავდნენ, რომ ეს სასახლე ერთადერთი მძლეოსნური ბაზაა რესპუბლიკაში, სადაც ყველა პირობაა შექმნილი ნორმალური მუშაობისათვის. დარბაზში ინვენტარიც არის, მუდამ სისუფთავეა, ახლახან კი სასახლის მუშაკებმა ღია ფოიე შემინეს და იქ სითბომაც დაისადგურა. ერთადერთი პრეტენზია, რაც მწვრთნელებმა გამოთქვეს, იყო ის, რომ იქ ზოგჯერ წყდებოდა წყლის მიწოდება. წყლის ყაირათიანი ხარჯვა ყველას მოვალეობაა, მაგრამ სათანადო ორგანოებმა უნდა იზრუნონ, რომ ამ ბაზას, სადაც უამრავი ადამიანი იმაღლებს სპორტულ ოსტატობას და იკაჟებს ჯანმრთელობას, ყოველდღე ჰქონდეს წყალი.

სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებული ვახტანგ მინაშვილი.

მძლეოსნობის სასახლის თანამშრომლები (დირექტორი **ნუგზარ გეგენავა**) ახლაც პირნათლად დახვდნენ შეჯიბრების მონაწილეებს. **მზად იყვნენ მრავალრიცხოვანი მსაჯებიც, მაგრამ სასახლეც და ხალხიც ფაქტიურად უქმად მოცდნენ. როგორც ყოველთვის, საქართველოს თასის გათამაშება ახლაც ერთი-ორი სპორტსმენის ძალების დემონსტრაციად გადაიქცა,** და მძლეოსანთა შეჯიბრებამაც, რომელსაც ღირსეულ მეტოქეთა ჭიდილი ალამაზებს ხოლმე, ყოველგვარი ინტერესი დაკარგა. არადა, შეჯიბრება თითქოს დიდ მიზნებს ისახავდა. „საქართველოს თასის გათამაშების მიზანია — ეწერა დებულებაში — რესპუბლიკაში მძლეოსნობის შემდგომი განვითარება, მიმდინარე მუშაობისა და სპორტული შედეგების ზრდის სტიმულირება, საქართველოს ქალაქებში მძლეოსნობის მდგომარეობის შემოწმება და უძლიერეს სპორტსმენთა გამოვლენა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალში მონაწილეობისათვის“.

ამ პუნქტებიდან მხოლოდ უკანასკნელი შესრულდა, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მოზრდილი მძლეოსნები თითებზე ჩამოსათვლელი გვყავს და ფაქტიურად წინდაწინვე იყო ცნობილი, ვინ იასპარეზებდა ნახევარფინალურ შეხვედრაში.

ახლა კი იმის შესახებ, თუ რატომ ტარდება თასის გათამაშების ფინალი ასე უღიმღამოდ. დებულების თანახმად, ფინალში საქართველოს ქალაქების — თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალისა და რუსთავის ნაკრები გუნდები მონაწილეობენ. ჯერ ერთი, **სოხუმის გუნდი შეჯიბრებაზე არ გამოცხადდა.** ეტყობა, ქალაქის სპორტკომიტეტისთვის რესპუბლიკურ შეჯიბრებათა კალენდარი ფარატინა ქაღალდად იქცა. მაშ, რით შეიძლება ავხსნათ ის ფაქტი, რომ სოხუმელმა მძლეოსნებმა ეს გათამაშებაც გამოტოვეს. დებულებაში ისიც ეწერა, რომ თითოეულ გუნდში 17 მძლეოსანი შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგრამ ახლა ბევრ რეგიონში მოზრდილ მძლეოსანთა ამ უმნიშვნელო რაოდენობის თავმოყრაც კი პრობლემა გახდა. რაიონების მძლეოსნები, რომლებსაც ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი შედეგები აქვთ, სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში მიემგზავრებიან, ძირითადად სწავლის გასაგრძელებლად. თითქმის **არც ერთ ქალაქს არავითარი პირობები არ გააჩნია, რომ იქ მოზრდილმა მძლეოსნებმა აიმაღლონ ოსტატობა.** ამას ადგილობრივ მწვრთნელთა უნიათობაც ემატება. რაღა გასაკვირია, რომ, მაგალითად, **ბათუმის გუნდის სახელით სულ ხუთმა მძლეოსანმა იასპარეზა, ხოლო რუსთავმა სამი სპორტსმენი გამოიყვანა** და მაინც შეძლო მე-4 ადგილზე გასვლა. სრული გუნდები მხოლოდ თბილისს (ორი გუნდი) და ქუთაისს ჰყავდა.



სტარტი აიღეს სპრინტერებმა.

უნდა ითქვას, რომ ასეთ პირობებშიც კი საქართველოს ნაკრების რამდენიმე წევრმა შეძლო საკმაოდ კარგი შედეგის ჩვენება. მაგალითად, მაია აზარაშვილმა 200 მეტრზე რბენაში კიდევ ერთხელ გააუმჯობესა რესპუბლიკის უმაღლესი მიღწევა და 23,7 აჩვენა. მანვე გაიმარჯვა 60 მეტრზე რბენაშიც — 7,2, მზია ოფციაური მას 0,1 წამით ჩამორჩა. რუსთაველმა სპორტის ოსტატმა დიმიტრი კალაძემ 60 მეტრზე თარჯრბენში დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა თბილისელი გელა ვეშაპიძე — 7,7. სერგო ახვლედიანმა სამხტომში მარტოდმარტო იასპარეზა, მაგრამ მაინც ცუდი შედეგი არ უჩვენებია — 16,40 მეტრზე გადახტა (ევროპის ექსჩემპიონი იუნიორთა შორის ახლა მწვრთნელ შამილ ოსმანოვთან ვარჯიშობს).

გიორგი ჩოხიშვილი.

ტექნიკური შედეგები:

1. თბილისი-I — 233 ქულა; 2. თბილისი-II — 131; 3. ქუთაისი — 42; 4. რუსთავი — 41; 5. ბათუმი — 15; VI. ცხინვალი — 8.

ვაჟები 1000-მეტრიან დისტანციაზე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

„სოფლად კულტურული, სულიერი ცხოვრების გაუმჯობესების პრობლემას შემთხვევით როდი ექცევა განსაკუთრებული ყურადღება. ეს დიდი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია. სოფლად მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები, ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების შემცირება ახალ რთულ ამოცანებს უსახავს სოფლის ინტელიგენციას, ამაღლებს მის როლსა და პასუხისმგებლობას რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ და სულიერ ცხოვრებაში“.

1985 წლის 20 ივლისს გამართული საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მასალებიდან.

ლახტის წრეში

ლოდინსაც საზღვარი აქვს

პირველი კოლექტიური წერილი თერჯოლის რაიონის ზედა საზანოს წითელი ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდებისგან გასული წლის ზაფხულში მივიღეთ. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი უმალვე გავგზავნეთ მივლინებაში, ფაქტების ადგილზე შესამოწმებლად. მაშინ წერილი არ გამოქვეყნდა, რადგან ოფიციალურ პასუხში, რომელიც კორესპონდენტმა რაიონიდან ჩამოიტანა, გვწერდნენ, რომ ახალგაზრდების გულისწყრომა უსაფუძვლოა, მათთვის ფეხბურთის სათამაშო მოედანი არავის წაურთმევია, სოფელს აქვს სპორტული კომპლექსი, რომელშიც შედის ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის მოედნები და ღია ტირი. ერთი სიტყვით, საქმე არც მთლად ისეა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს:

ამ დღეებში ზედა საზანოს კვლავ ვეწვიეთ. ეტყობა, რაიონის წარმომადგენლებისა და კორესპონდენტის პირველმა სტუმრობამ მაინცდამაინც დიდად ვერ შეუცვალა სოფლის თავკაცებს წარმოდგენა ფიზკულტურისა და სპორტის მნიშვნელობაზე. საქმე მარტო ის ხომ არ არის, მოედნის გადახვნის ფაქტი დადასტურდა თუ არა. ის წერილიც, სოფელში მაშინდელი სტუმრობაც ხომ იმას ისახავდა მიზნად, რომ კოლმეურნეობის მესვეურებს ფხიზელი თვალით შეეხედათ ახალგაზრდობის პრობლემებისათვის. სოფელში კი, სადაც 628 კომლი ცხოვრობს, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისად დღემდე არ გარდაქმნილა. ახალგაზრდებთან საუბარში გამოირკვა, რომ ჟამიდან ჟამამდე, ისიც მეტწილად სკოლის მოსწავლეები თუ გამოჰყავთ რაიონის პირველობებში სოფლის სახელით. მოსწავლეთა გუნდის შეკრება კი გაცილებით ადვილი საქმეა, რადგან კოლმეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტად ნახევარ განაკვეთზე სოფლის სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი თენგიზ ხაჭაპურიძე მუშაობს. საერთოდ მივიწყებულია მშრომელთა შორის სისტემატური ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა, აღარაფერს ვამბობთ მასობრივ შეჯიბრებაზე, მშდ ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაზე.

მოვინახულეთ სოფლის კლუბიც. იქ ახლა რემონტია, მაგრამ სხვა დროსაც ამ კლუბში კინოს გარდა სოფლის მშრომლებს თითქმის არაფერი უნახავთ. არავინ ფიქრობს „საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტული ნაგებობების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სადირექტივო დადგენილებისა და რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებათა შესრულებაზე. კლუბთან კი შეიძლება ისეთი წრეები და ჯგუფები გაიხსნას, რომ ახალგაზრდებმა სულიერი ინტერესებიც დაიკმაყოფილონ და ფიზიკური წრთობის შესაძლებლობაც მიეცეთ. ზედასაზანოელებს მართლაც შესანიშნავი ადგილი აქვთ გამოყოფილი სპორტული კომპლექსის მოსაწყობად, მაგრამ ჯერ საამისოდ ვერავინ „მოიცალა“. თერჯოლის რაიონის პასუხისმგებელი მუშაკები, მათ შორის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე მ. ხვინტრაძე, ისინი, ვინც რამდენიმე თვის წინათ ჩვენი თხოვნით ეწვია ზედა საზანოს, მერე აღარ დაინტერესებულან კოლმეურნეობის სპორტული ბაზების ბედით, არავის გაუკონტროლებია, რა ცვლილებები მოხდა სოფლის სპორტულ ცხოვრებაში. რას მივაწეროთ ასეთი გულმავიწყობა თუ გულგრილობა?

ვფიქრობთ, ამჯერად უფრო ზუსტ და ამომწურავ პასუხს მივიღებთ რაიონის ხელმძღვანელებისაგან და, რაც მთავარია, სიტყვას საქმე მოჰყვება.

„ლელოს“ ბრიგადა.

თერჯოლის რაიონი.

მკითხველი — გაზეთი

თბილისელი ინჟინერი ვანო სახანელი გვეკითხება: მართალია თუ არა, რომ უკვე ეწყობა საჭადრაკო ტურნირები... ელექტრო-გამომთვლელ მანქანებს შორის?

პასუხი: ასეთი ტურნირები მართლაც ეწყობა, მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ დენვერში ჩატარდა ქვეყნის ჩემპიონატი კომპიუტერთა შორის...

მას შემდეგ, რაც ამერიკელმა ინჟინერმა კლოდ შენონმა 1948 წელს გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი „კომპიუტერის დაპროგრამება ჭადრაკის სათამაშოდ“, ამ სფეროში უპირატესობით სარგებლობდნენ დიდი „სუპერკომპიუტერები“, რომელთაც საჭადრაკო დაფაზე შეეძლოთ მილიონობით ვარიანტის გათვლა. მაგრამ ზემოხსენებულ შეჯიბრებაზე მინი-კომპიუტერმა „ჰაიტეკმა“, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ჭადრაკის სათამაშოდ შექმნეს, ფინალურ შეხვედრაში ყველას გასაკვირად დაამარცხა სუპერკომპიუტერი „კრეი ბლიტცი“. სხვათა შორის, დამარცხებული მანქანა 15 მილიონი ღირდა, გამარჯვებული კი მხოლოდ 15 ათასი. მაგრამ „კომოდორისა“ და „ეპლ“-ის ტიპის სხვა მიკროკომპიუტერები, რომელთაც „პერსონალურ“ კომპიუტერებს უწოდებენ, თამაშის კლასით ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩებიან რკინის „დიდოსტატებს“.

დებიუტანტი

გიორგი ტყემალაძე

ჩოგბურთი

დაიბადა 1975 წელს თბილისში
სიმაღლე 143 სმ, წონა 45 კგ.
თბილისის 53-ე საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე.
ჩოგბურთში ვარჯიში დაიწყო 1983 წელს.
სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ წარმომადგენელი.
მწვრთნელი დიმიტრი ურაევსკი.
პირველთანრიგოსანი.
1985 წლის საქართველოსა და მოსწავლეთა XXXIII რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩემპიონი (წყვილთა თანრიგში).
1973 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის მრავალ საკავშირო ტურნირებში გამარჯვებული და პრიზიორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მექსიკა—86

ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 142 დღე

„ანგარიში ყველას უნდა გავუწიოთ"

საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ანრი მიშელმა ინტერვიუ მისცა გაზეთ „ეკიპის" წარმომადგენელს. საუბარი უმთავრესად მომავალ მსოფლიო ჩემპიონატს ეხებოდა.

● **როგორ ემზადება გუნდი ფინალური ტურნირისათვის?**

— როგორც ყველა ჩვენი მეტოქე: ყურადღებით, მონდომებითა და დიდი იმედებით. ჯერ რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას ჩავატარებთ, 26 თებერვალს კი პარიზში ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდს ვეთამაშებით, მერე, 22 მარტს არგენტინის ნაკრებს შევხვდებით, 19 მაისს კი მექსიკაში გავემგზავრებით. ორი კვირა აკლიმატიზაციისათვის სავსებით საკმარისი იქნება.

● **რას გვეტყვით თქვენს პირველ მეტოქეებზე?**

— სუსტი გუნდი მექსიკის საგზურს ვერ მიიღებდა. ამიტომ ჩვენი მომავალი მეტოქეების ყველა პრეტენზია, ვფიქრობ, საფუძვლიანი უნდა იყოს.

● **მაგრამ გამორჩეულები ალბათ მათ შორისაც იქნებიან.**

— ვფიქრობ, „ხიფათის" საბჭოთა ფეხბურთელებისგან უნდა მოველოდეთ. ისინი ნაკრების დონეზეც კარგად თამაშობენ და საკლუბო ტურნირებშიც. განსაკუთრებით მათი ფიზიკური მომზადება მომწონს. შარშან, შემოდგომაზე, საბჭოთა ნაკრებმა თანამედროვე ფეხბურთის რამდენიმე კლასიკური მაგალითი გვიჩვენა. მექსიკაში ალბათ მეტად გამოიდებენ თავს.

● **ორიოდე სიტყვა უნგრეთის გუნდზე.**

—მეხიკოში დავესწარი მექსიკელთა და უნგრელთა თამაშს. ერთი მატჩით გუნდის შეფასება, ცხადია, ძნელია, მით უმეტეს, რომ უნგრელებმა ამ შეხვედრაში „კარტები" ბოლომდე არ გახსნეს. იქნებ შესარჩევი ციკლის დამთავრების შემდეგ სპორტული ფორმა დაკარგეს? ასეც ხომ ხდება? და მაინც ვფიქრობ უნგრელები ამ ჩემპიონატში მაქსიმალურ ყურადღებას იმსახურებენ.

● **როგორ ემზადებით პირველი მატჩისთვის?**

— ჩვენ ყველას გვიხარია, რომ პირველი თამაში კანადასთან გვიწევს. ეს გუნდი, ჩემის აზრით, დანარჩენ მეტოქეებზე უფრო სუსტია. კანადელთა თამაშს ლოსანჯელესის ოლიმპიურ ტურნირში ვუცქირე. იქ ისინი მხოლოდ კარგი ფიზიკური მომზადებით იქცევდნენ ყურადღებას. კანადელებს გამოცდილება არ ჰყოფნით და ეს ალბათ მექსიკაში საგრძნობი იქნება.

● **თქვენი ჯგუფიდან შეჯიბრების მეორე ეტაპზე ვინ გავა?**

— ამბიციები ასეთ შემთხვევაში დაგვღუპავს. მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ საფრანგეთის ნაკრები ყველაფერს იღონებს იმისთვის, რომ შეჯიბრების მეორე ეტაპზე გავიდეს. მაგრამ ჩემს რწმენას, პირველ ყოვლისა, იმედი კვებავს. დარწმუნებული ვარ, ჩემი კოლეგებიც ჩემსავით დაიმედებულნი ჩავლენ მექსიკაში. ამიტომ ანგარიში ყველას უნდა გავუწიოთ.

არც ისე „ადვილი ჯგუფი"

ბულგარეთის ფეხბურთის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მათ გუნდს „ცუდი კენჭი" შეხვდა. თუმცა იმედს არც ისინი და არც ჟურნალისტები არ კარგავენ. „იტალია — მსოფლიოს ჩემპიონია, არგენტინა კი — ექსჩემპიონი! ეს კარგად ვიცით, მაგრამ მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. როგორ ითამაშებენ ისინი მექსიკაში?" ბულგარელი მიმომხილველები ფიქრობენ, რომ მსოფლიო ფეხბურთში ძალთა სერიოზული გადაჯგუფება მოხდა და მათ სწორედ ეს აიმედებთ.

ბულგარელებმა მექსიკის საგზური თავიანთ კონკურენტებზე უფრო ადრე მოიპოვეს. სპეციალისტთა აზრით ეს იმას ამტკიცებს, რომ შესარჩევ ციკლში გუნდი კარგ ფორმაში იყო. „გუნდი ახლაც აღმავლობის გზაზე დგას და თანამედროვე ფეხბურთს თამაშობს" — ასე ფიქრობს თითქმის ყველა იტალიური გაზეთი.

სოფიის „ნაროდენ სპორტის" კომენტატორთან ინტერვიუში ვეტერანმა ფეხბურთელმა ტოდორ კოლევმა განაცხადა: „ამ ჩემპიონატში ტიპიური აუტსაიდერი არც მეგულება, მაგრამ ჩვენ ძლიერებთან მუდამ კარგად ვთამაშობდით და ამ ჩვეულებას არც ამჯერად ვუღალატებთ. გვაქვს დიდი შანსი დავამარცხოთ მსოფლიოს ჩემპიონიც და ექსჩემპიონიც".

გაცილებით თავდაჭერილია „სლავიას" უფროსი მწვრთნელი ხრისტო მლადენოვი. იგი თვლის, რომ ბულგარელებმა ყველა მეტოქეს უნდა გაუწიონ ანგარიში, ასე გასინჯეთ, სამხრეთ კორეის გუნდსაც კი. ის, რომ ბულგარელები ძლიერ მეტოქეებთან კარგად თამაშობენ, ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. მსოფლიოს ჩემპიონი და ექსჩემპიონი სხვა რანგის კონკურენტები იქნებიან და მათი ამბიციებიც მხედველობაშია მისაღები. ამიტომ, მლადენოვის აზრით, ქვეყნის ეროვნული ნაკრების წევრებმა დარჩენილ დროში აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე უნდა გადაიტანონ. იტალიისა და არგენტინის გუნდებს ბულგარელები ტექნიკურად ვერ დაჯაბნიან. მექსიკაში საბოლოო სიტყვა ფიზიკურმა მომზადებამ უნდა თქვას.

უნგრელები მექსიკაში

უნგრეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები დეკემბრის პირველ ნახევარში მექსიკაში იმყოფებოდა. გუნდის მწვრთნელი დიერდ მეზეი, ეროვნული ფედერაციის თავმჯდომარე დიერდ სეპეში და ფეხბურთელი ტიბორ ნილაში რამდენიმეჯერ ტელევიზიით გამოიყვანეს. ერთ-ერთი ინტერვიუს დროს სამივეს ერთნაირი შეკითხვა დაუსვეს: როგორ აფასებთ კენჭისყრის შედეგებს.

დიერდ სეპეში: ვერ ვიტყვი, რომ „ადვილი ჯგუფი" შეგვხვდა, თუმცა შესაძლებელი იყო ბედს უფრო მეტადაც გავეწირეთ. ახლა ჩვენს წინაშე ერთი ამოცანა დგას — უნდა გავიდეთ გათამაშების მეორე ეტაპზე.

დიერდ მეზეი: გათამაშების პირველ ეტაპზე მძიმე მატჩები გველის. საფრანგეთის გუნდი სამართლიანად ითვლება მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კოლექტივად. საბჭოთა კავშირის ნაკრები შესაძლოა საფრანგეთის გუნდზე ძლიერიც იყოს.

ტიბორ ნილაში: საბჭოთა კავშირის ფეხბურთელებთან შეხვედრაში ფრე ჩვენთვის სანატრელი შედეგი იქნება. ფრანგებთან მატჩის შედეგის წინასწარ განსაზღვრა უფრო მიჭირს, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მათი დამარცხება შეგვიძლია. გათამაშების მეორე ეტაპზე უნდა გავიდეთ.

რინუს მიხელსი უკმაყოფილოა

ჰოლანდიის ნაკრები ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში ვერც ამჯერად მოხვდა. ეს უფლება მან ბელგიის გუნდთან ბრძოლაში დაკარგა.

არადა, ათიოდე წლის წინ ჰოლანდია ევროპის საფეხბურთო ცხოვრებას წარმართავდა. „ტოტალური ფეხბურთის" მწვერვალები მაშინ სერიოზულად და საბოლოოდ ვერც ერთი ქვეყნის ნაკრებმა ვერ დაიპყრო, ჰოლანდია მსოფლიო ჩემპიონი ვერც ერთხელ ვერ გახდა. ეს ყველაზე დიდი უსამართლობა იყო. 1974 წელს ფინალში იგი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელთან (გფრ-სთან) დამარცხდა. ოთხი წლის შემდეგ ეს ისტორია სხვა ქვეყანაში — არგენტინაში განმეორდა. და მაინც, ჰოლანდიურ ფეხბურთს მსოფლიო ავტორიტეტი ჰქონდა.

ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელის რინუს მიხელსის აზრით, 60-იან წლებში ფეხბურთი მის ქვეყანაში ნამდვილად სახალხო სპორტი იყო. ახლა სურათი მკვეთრად შეიცვალა. ფეხბურთს ქუჩებსა და ეზოებში აღარავინ თამაშობს. უმცროსი ასაკის ბავშვთა ტურნირები იშვიათად ეწყობა.

მიხელსი მწვრთნელთა პრობლემასაც წინა პლანზე სწევს. ტალანტებს აღარავინ ეძებს, არავინ წუხს, არავინ ფიქრობს და განიცდის. კრუიფები, ნეესკენსები და ჰანები ფეხბურთში თავისით ვერ მოვლენ. მწვრთნელებმა ისინი ათასობით თანატოლში უნდა გამოარჩიონ, რაც მეტად ძნელი და შრომატევადი საქმეა. შავ სამუშაოს მწვრთნელთა უმრავლესობა კი თავს არიდებს.

არის კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც მიხელსის აზრით, დრომ მოიტანა. ადრე ახალგაზრდები ფეხბურთს სპორტის არც ერთ სახეობაში არ გაცვლიდნენ. ახლა მათი ინტერესები შეიცვალა: ფეხბურთმა უკან დაიხია და სხვა სახის გართობებს დაუთმო ადგილი.

შუსტერის გადაწყვეტილება საბოლოოა

25 წლის ბერნდ შუსტერმა 1979-84 წლებში 21 მატჩი ჩაატარა გფრ-ის ნაკრების შემადგენლობაში. 1980 წლიდან იგი ესპანეთის „ბარსელონაში" გამოდის. ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, დასავლეთ გერმანიის ყოველკვირეულ „შპიგელში" დაიბეჭდა.

● **გფრ-ის ნაკრების მწვრთნელთან ბეკენბაუერთან შეხვედრისას გქონდათ თუ არა საუბარი ამ გუნდში დაბრუნებაზე?**

— ამ თემაზე მიუნხენში ვისაუბრეთ. ბეკენბაუერი სასტუმროში დამიკავშირდა. საუბარი ოთხ საათს გაგრძელდა, მე ჩამოვუთვალე ყველა ის მიზეზი, რის გამოც უარს ვამბობ ეროვნულ გუნდში თამაშზე. ბეკენბაუერმა მითხრა, რომ ნაკრებში ჩემთვის გზა ხსნილია.

● **საიდან შეიტყო ბეკენბაუერმა, რომ თქვენ მიუნხენში იყავით?**

— ფირმა „ადიდასის" მეშვეობით, რომლის წარმომადგენელი ალფ ბენტე ერთი კვირით ადრე ბარსელონაში მეწვია, რათა კონტრაქტი გაეგრძელებინა.

● **პორტუგალიის გუნდთან მატჩის წაგების შემდეგ გულშემატკივრები თქვენს დაბრუნებას მოითხოვდნენ.**

— ბეკენბაუერს პირდაპირ ვუთხარი, რომ მე სასწაულმოქმედი არა ვარ. რაც შეეხება მაყურებელს, მისთვის სულ ერთია — დღეს ერთ მოთამაშეს ითხოვს, ხვალ — მეორეს.

● **თქვენი მეგობრები კარლჰაინც რუმენიგე და ტონი შუმახერი ნაკრებში თქვენს დაბრუნებაზე ოცნებობენ.**

— რუმენიგესი რა მოგახსენოთ, დღეს ერთს ამბობს, ხვალ მეორეს. თუ ბეკენბაუერი ეტყვის, რომ საჭიროა ჩემი ნაკრებში დაბრუნება, ისიც ეთანხმება. თუ ბეკენბაუერი იტყვის, რომ საჭირო არა ვარ, რუმენიგე მაინც თანხმობას აძლევს. შუმახერმა მითხრა, ჩემი ხათრით მაინც დაბრუნდი ნაკრებშიო. მე ვუპასუხე: ჩვენი მეგობრობისათვის ყველაფერს გავაკეთებ, მაგრამ ეს არის ერთადერთი რამ, რასაც ვერ შეგისრულებ-მეთქი.

● **დღესდღეობით დასავლეთ გერმანიაში თქვენ ბრძანდებით ერთადერთი ფეხბურთელი, ვისი თამაშიც მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამება. რატომ ამბობთ უარს ნაკრებში დაბრუნებაზე?**

— აკი მოგახსენეთ, ბეკენბაუერს ყველაფერი ვუთხარი, რასაც ვფიქრობდი. არ მინდა, რომ ჩემს პირად ცხოვრებაში ვინმე ჩაერიოს. არადა, დაბრუნებისთანავე ასე მოხდება.

● **რა გავლენას ახდენს თქვენს გადაწყვეტილებებზე თქვენი მეუღლე?**

— გადაწყვეტილებებს ერთმანეთთან შეთანხმებით ვიღებთ. უმრავლესობას მრჩევლად მენეჯერი ჰყავს. თავს ბედნიერად ვთვლი, რომ არის ადამიანი, რომელიც ყველასა და ყველაფერს ცვლის...

● **ერთი სიტყვით, თქვენ მხოლოდ „ბარსელონაში" აპირებთ თამაშის გაგრძელებას. მაგრამ, როგორც ცნობილია, ესპანური ფეხბურთი დღეს არც ისე ძლიერია.**

— ისევე როგორც გერმანული. ამას ადასტურებს ორივე ქვეყნის საკლუბო და ნაკრები გუნდების შედეგები. მათ უკვე მსოფლიოს ბევრი გუნდი დაეწია. ზოგიერთმა გაუსწრო კიდეც (საფრანგეთმა, პორტუგალიამ, საბჭოთა კავშირმა).

● **როგორ აფასებთ გფრ-ის ნაკრების შესაძლებლობებს მექსიკაში?**

— აქამდე მჯეროდა, რომ გფრ-ის ნაკრები ევროპაში უძლიერესი იყო და მხოლოდ მას შეეძლო სამხრეთამერიკელებისთვის კონკურენცია გაეწია, მაგრამ ახლა უკვე ეჭვი მეპარება.

● **თქვენი აზრით, ვითარებას ვერც ბეკენბაუერი შეცვლის?**

— თუ გუნდში ძლიერი ფეხბურთელები არ არიან, ვითარებას ვერც ერთი მწვრთნელი ვერ შეცვლის.

● **ნაკრებში თქვენი დაბრუნების ბეკენბაუერისეულ გეგმას ყველა როდი შეხვდა აღტაცებით. მაგალითად, მიუნხენელი ლოტარ მათეუსი...**

— მისი მდგომარეობა გასაგებია: თუ მე ნაკრებში დავბრუნდი, ის ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდება.

● **ამბობენ, რომ „ბარსელონაში" თქვენს წინაშე რაღაც პრობლემები წამოიჭრა.**

— ეს პრობლემა ფინანსებთან არის დაკავშირებული.

● **„ბარსელონას" თქვენი გაყიდვა ხომ არ სურს?**

— ვგრძნობ, რომ კლუბის ხელმძღვანელობას ამგვარი სურვილი აქვს.

● **თქვენი შესყიდვა მხოლოდ იტალიის კლუბებს შეუძლიათ. ხართ თუ არა მზად, შესცვალოთ „იუვენტუსში" პლატინი? ასეთ ხმებსაც მოჰკრავთ ყურს...**

— მოვლენებს ნუ გავუსწრებთ. ყველაფერს გავაკეთებ, რათა „ბარსელონაში" დავრჩე.

● **დაიცავს თუ არა გფრ-ის ნაკრების ღირსებას მექსიკაში ბერნდ შუსტერი?**

— არა. ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა და ვიმედოვნებ, რომ ამ თემასთან დაკავშირებული ინტერვიუც უკანასკნელი იქნება.

მასალა მოამზადა
მალხაზ რადიანმა.



ვეტერანის სახელობის თასზე

თბილისის სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების ჭაბუკთა 10 გუნდი (1968-69 წლებში დაბადებულნი) მონაწილეობდა სპორტის დამსახურებული ოსტატის ვლადიმერ მარღანიას სახელობის თასის ტრადიციულ საქალაქო გათამაშებაში.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სპორტული სკოლა-ინტერნატისა და „შევარდენის" გუნდები. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა სკოლა-ინტერნატის კოლექტივმა (დირექტორი ო. გაგუა, უფროსი მწვრთნელი თ. ხვადაგიანი, მწვრთნელები თ. მახარაძე და ა. ვარდიაშვილი). ინტერნატელებს გადაეცათ გამოჩენილი მეკარის სახელობის გარდამავალი თასი.

სურათზე: ვ. მარღანიას სახელობის 1985 წლის თასის მფლობელი თბილისის სპორტული სკოლა-ინტერნატის გუნდი. **პირველ რიგში** (მარცხნიდან მარჯვნივ): მ. გურაბანიძე, გ. ზაქარიაძე, თ. ხაჭაპურიძე, მ. ამყოლაძე, თ. ქეცბაია, ვ. ცაგარეიშვილი, ზ. კოზანაშვილი, კ. ხარჩილავა, ხ. კუპრავა; **მეორე რიგში:** დ. გეგეჭკორი, კ. კოტრიკაძე, თ. კვირკველია, გ. ყანჩაშვილი, ი. გაჩეჩილაძე, ჟ. ლაფანაშვილი, გ. ნადირაძე, მ. ნინუა, კ. გეთია; **მესამე რიგში:** მწვრთნელი თ. ხვადაგიანი, თ. გაბრიჭიძე, ბ. კირვალიძე, მწვრთნელი ა. ვარდიაშვილი, დ. ჩხეტია, გ. ილაური. მწვრთნელი კ. მახარაძე.

გურამ დოლენჯაშვილის ტექსტი და ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა ნახე, მამა ნახე...

ნათქვამია, კვიცი გვარზე ხტისო. შვილები ხშირად მშობლების პროფესიას ირჩევენ და მათ გაკვალულ ბილიკს მიჰყვებიან. ასეა სპორტშიც. სამწუხაროდ, საქართველოში ცოტაა, ძალზე ცოტაა სპორტული ოჯახი, ისეთი ოჯახი, რომლის თითოეული ან თითქმის თითოეული წევრი სერიოზულად არის სპორტით გატაცებული. ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისია საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, თბილისის უნივერსიტეტის დოცენტის შოთა მირიანაშვილის ოჯახი.

მამა

ქალები, ვინც შოთა მირიანაშვილს და მისი ოჯახის წევრებს იცნობს, ამბობენ, მაგისთანა არც ქმარი გვინდა და არც შვილებიო. რატომ?

ამაზე ქვემოთ. მანამდე კი, მოდით, 50-იანი წლები გავიხსენოთ, შევიხედოთ თბილისის უნივერსიტეტში, სადაც სახელგანთქმული დანიელი ფიზიკოსი ნილს ბორი იმყოფებოდა სტუმრად. საპატიო სტუმარმა, უწინარეს ყოვლისა, ბუნებრივია, ფიზიკის ლაბორატორიები დაათვალიერა. მერე მასპინძლებს თავისი შთაბეჭდილებებიც გაუზიარა. თქვა, რომ ფიზიკის ლაბორატორიებით ვერ გამაკვირვებთ, მაგრამ ბევრი რამ ახალი და საინტერესო კი აღმოვაჩინეო.

ასეთი რა ნახა თანამედროვე ფიზიკის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა? თურმე ნუ იტყვით და ნილს ბორის ყურადღება ლაბორატორიებში გამოფენილ ფოტოსურათებს მიუპყრია. მზერას ველარ სწყვეტდა თურმე ფოტოსურათებზე აღბეჭდილ უძირო ყინულოვან ნაპრალებს, მდინარეთა სათავეებს, თვალშეუდგამ მწვერვალებს, მათკენ მიმავალ ადამიანებს... ზოგი მწვერვალი თითქოს თავისკენ უხმობდა და იზიდავდა, ზოგის დანახვაზე კი ტანში ჟრუანტელი უვლიდა. ეს ზვიადი, ბუმბერაზი ბუნება და მასთან მებრძოლი ადამიანები ჭეშმარიტი პოეტის, მხატვრის თვალით იყო დანახული. ამ „პერსონალური გამოფენის" ავტორი თბილისის უნივერსიტეტის ნახევარგამტარების ფიზიკის პრობლემური კვლევითი ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერთანამშრომელი შოთა მირიანაშვილი გახლდათ. ახლა მირიანაშვილი ამ ლაბორატორიის გამგეა, ფიზიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

შოთა მირიანაშვილის ნამუშევრებს საქართველოს ალპური კლუბის საერთაშორისო ფოტოკონკურსზე — „მთები და ადამიანები", და სხვა გამოფენებზე ბევრჯერ დაუმსახურებია დიდი პრიზი და პირველი პრემია. შოთას ფოტოაპარატი არ მოუშორებია კავკასიონის მწვერვალებზე, პამირის მთებში, ტიან-შანზე, შვეიცარიის ალპებში თუ იაპონიაში, ფუძიამაზე ასვლისას. ამ ლაშქრობებიდან მას არა მარტო კარგი ფოტოსურათები, არამედ საკავშირო ჩემპიონატებში მოპოვებული ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ჩამოჰქონდა, რისთვისაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდებაც მიანიჭეს.

დიახ, შოთა მირიანაშვილი პროფესიით ფიზიკოსია, მოწოდებით — მთამსვლელი, ფოტოგრაფია კი უბრალოდ იტაცებს. თუმცა, ყველა ამ დარგში ისე ღრმად და საფუძვლიანადაა შეჭრილი, რომ... დარწმუნებული ვარ, რასაც კი ხელს მოჰკიდებს, ყველაფერი გამოუვა. სტუდენტობის წლებში გატაცებული იყო კრივით, კალათბურთითა და მძლეოსნობით. სამივე სახეობაში საქალაქო ნაკრების წევრი ყოფილა, მერე უნივერსიტეტის ალპინიადაზე მიუღია მონაწილეობა და ასე მთამსვლელობასაც ზიარებია. მაშინ უნივერსიტეტის რექტორი ალპინიზმისა და საერთოდ სპორტის დიდი მოტრფიალე ნიკო კეცხოველი იყო, ალპინიადებს კი მთამსვლელი და მეცნიერი, ენთუზიაზმით აღსავსე ოთარ გიგინეიშვილი ხელმძღვანელობდა. ისინი გიორგი ნიკოლაძის წამოწყებას უფრთხილდებოდნენ და თავს ევლებოდნენ. და თუ დღეს უნივერსიტეტში ასეთი ტრადიცია კვლავ გრძელდება, ეს უკვე შოთა მირიანაშვილის დამსახურებაა. მრავალი წელია სწორედ მირიანაშვილი ხელმძღვანელობს უნივერსიტეტელთა ალპინიადებს. ყველაფერ სიკეთესთან ერთად ორგანიზატორული ნიჭითაცაა დაჯილდოებული და ამიტომ ქართველ მთამსვლელთა ერთ გუნდს ის უდგას სათავეში, როგორც ექსპედიციის ხელმძღვანელი. ამ გუნდმა მრავალი საინტერესო, რთული ასვლა განახორციელა, რითაც სახელოვანი ფურცლები ჩაწერა ქართული, და არა მარტო ქართული, ალპინიზმის ისტორიაში. ბევრი ასეთი ასვლის შემდეგ რუკებზე გაჩნდა უსახელო მწვერვალთა სახელები: კონსტანტინე გამსახურდია, ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ლეონიძე, ლადო ასათიანი, ფიროსმანი, დავით აღმაშენებელი, ალექსანდრა ჯაფარიძე... და ეს ყველაზე მეტად თვითონ შოთა მირიანაშვილს ახარებს, თუმცა სიხარულთან ერთად მწუხარებაც. ბევრჯერ განაცდევინეს მთებმა. რამდენი მეგობარი ველარ დაბრუნდა მთებიდან... 1981 წელს პამირში დატრიალებულმა ტრაგედიამ დასცა თავზარი. ხუთი მთამსვლელი დაიღუპა. ექსპედიციის ხელმძღვანელი თვითონ შოთა იყო. დაიღუპნენ ახალგაზრდები, მათ შორის შოთას ძველი თანაგუნდელისა და მეგობრის, ტიან-შანში, მწვერვალ პობედაზე ტრაგიკულად დაღუპული ჯუმბერ მეძმარიაშვილის შვილი.

რა დაავიწყებს დაღუპულ მეგობრებს, იგი თითქოს მათთან ერთად ადის უსახელო, ფეხდაუდგამ მწვერვალებზე და მეგობართა სახელებს არქმევს მათ. ასე გაჩნდა რუკაზე მწვერვალები: ჯუმბერ მეძმარიაშვილი, თეიმურაზ კუხიანიძე, ილიკო გაბლიანი, გურამ თიკანაძე, გურამ რჩეულიშვილი. 1976 წელს შოთა მირიანაშვილმა თავის თანაგუნდელებთან აგი აბაშიძესთან, სერგო ბარლიანთან, შაქრო გაბისიანთან და დიმიტრი დანგაძესთან ერთად პამირში ეგრეთ წოდებული დიდი ნალის ტრავერსი განახორციელა და ეს ლაშქრობა მეძმარიაშვილის, კუხიანიძისა და გაბლიანის ნათელ ხსოვნას უძღვნა. მაშინ საღრანიდან ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლები ჩამოიტანეს.

— ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ტრავერსი ჩემს სპორტულ ბიოგრაფიაში, — იხსენებს შოთა მირიანაშვილი. — მაშინ 17 დღეში დავლაშქრეთ 11 ისეთი მწვერვალი, რომელთა სიმაღლე 6000 მეტრს აღემატებოდა. მანამდე სხვა გუნდებს უფრო გრძელი მარშრუტებით გაუვლიათ და უფრო მაღალი მწვერვალებიც დაუძლევიათ, მაგრამ ტექნიკური თვალსაზრისით ამგვარი რთული ტრავერსი არავის განუხორციელებია. განსაკუთრებით ძნელი დასაძლევი აღმოჩნდა მოსკოვის პიკი, რომელზეც დასავლეთი ფერდობით ავედით. ამ მწვერვალზე სამხრეთიდან პირველად ქართველი მთამსვლელები ჯუმბერ მეძმარიაშვილი, ლევან და ზურაბ ახვლედიანები, რევაზ ხაზარაძე და თეიმურაზ კუხიანიძე, დიმიტრი ობოლაძის მეთაურობით ავიდნენ, რისთვისაც ვერცხლის მედლები დაიმსახურეს. მწვერვალზე მათ მიერ დატოვებული ბარათი ჩვენმა გუნდმა 1975 წელს ჩამოიტანა. და აი, ჩვენ კვლავ ავედით მოსკოვის პიკზე. ავედით წარმოუდგენლად სწრაფად — დღენახევარში. ეს ასვლა სასიმაღლო ტექნიკურ კლასში ცალკე რომ შეგვეტანა, მედალს მივიღებდით. სწორედ ამიტომაც იგი სპორტული თვალსაზრისით ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და გამორჩეულია.

ამ წელიწადს, როცა მთამსვლელთა საკავშირო შეჯიბრების შედეგები შეაჯამეს, კომპეტენტურმა ჟიურიმ აღნიშნა: „ტრავერსების კლასში წლეულს ყველაზე მეტად გაგვიადვილდა ოქროს მედლების მიკუთვნება". დიახ, ასეთი რთული ტრავერსი საბჭოთა ალპინიზმის ისტორიას არ ახსოვდა. ამ ლაშქრობისას ქართველი მთამსვლელები „სოიუზ-აპოლონზეც" ავიდნენ. მწვერვალს ეს სახელი 1975 წელს უწოდეს ჩვენმა მთამსვლელებმა. მათთან ოთარ ხაზარძეც იყო. იმავ წელს ამერიკელი კოსმონავტები სტაფორდი, ბრანდი, სლეიტონი, საბჭოთა კოსმონავტები ლეონოვი და კუბასოვი თბილისში ჩამოვიდნენ სტუმრად. ქართველმა მთამსვლელებმა სტუმრებს მირიანაშვილის მიერ გადაღებული მწვერვალ „სოიუზ-აპოლონის" ფოტოსურათი აჩუქეს. ამერიკელმა სტუმრებმა თქვეს, ეს ფოტოსურათი ამიერიდან შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულ სამმართველოს დაამშვენებსო.

დიახ, საბჭოთა და ამერიკელი კოსმონავტების მეგობრობის განმტკიცების საქმეში ჩვენმა მთამსვლელებმა, მირიანაშვილთან ერთად, თავიანთი წვლილი შეიტანეს.

— მეგობრობა, ერთმანეთის გატანა ადამიანის უპირველეს მოვალეობად მიმაჩნია მთაში, და სხვათა შორის, არა მარტო მთაში, — ამბობს შოთა მირიანაშვილი. — ალბათ, მთამსვლელი ვერც გავხდებოდი, გვერდით მეგობრები რომ არ მყოლოდნენ. „ბურევესტნიკის", „სპარტაკისა" თუ სხვა სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოს ნაკრების შემადგენლობაში, საკავშირო ჩემპიონატებში მონაწილეობისთვის, ბევრჯერ მიუწვევიათ. მათი ექსპედიციები ფრიად მაცდური იყო, მაგრამ თუ ფეხი ამითრევია, მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ჩემი მეგობრები არ მეგულებოდნენ. ალპინისტი ვერ გახდები, თუ კოლექტივს არ შეგიძლია შეეგუო. სხვისი ატანაც უნდა შეგეძლოს და თავადაც ასატანი უნდა იყო. სხვანაირად ვერ შეძლებ ერთ კარავში სხვის გვერდით წოლას, ერთი კონსერვის ქილიდან ლუკმის გაყოფას, ერთ თოკში ჩაბმას და ამით სხვისი სიცოცხლის გაფრთხილებას და საკუთარის სხვისთვის მინდობას. ამიტომ გუნდის ჩამოყალიბებისას და თანამგზავრების შერჩევისას ანგარიშს ვუწევ არა იმდენად მთამსვლელის ფიზიკურ ან ტექნიკურ სიძლიერეს, არამედ მის ზნესა და ხასიათს. მთამსვლელობა თვითმიზნად არასოდეს გამიხდია. არც თანრიგებისა და მედლებისთვის გადავვარდნილვარ მთაში. მე და ჩემს თანაგუნდელებს გაუკვალავი, რთული გზით სიარული გვიზიდავდა, როცა ასეთ გზას დაადგები, თითქოს საკუთარ თავთან იწყებ ბრძოლას, რაღაცას უმტკიცებ, რაღაცაში არწმუნებ მას. საოცარი გრძნობა გეუფლება, როცა ისეთ ადგილზე მიიკვლევ გზას, სადაც მანამდე სულიერს ფეხი არ დაუდგამს. ჩემთვის თვითმიზანი არც სპორტული შედეგი ყოფილა ოდესმე. ჯილდო, უბრალოდ, შეფასებაა. დიახ, გაუკვალავი გზები მაცდურია, მაგრამ „გატკეპნილი" გზითაც მრავალჯერ მივლია. ესეც სიამოვნებას მანიჭებს. მწვერვალ ყუროზე აღარც მახსოვს რამდენჯერ ამიყვანია სტუდენტები. მაგრამ ყუროზე მუდამ ხალისით ავდივარ. ყოველი ასვლისას სხვაგვარად აღვიქვამ ყველაფერს, ყოველთვის რაღაცას ახალს აღმოვაჩენ ხოლმე. ბოლოს და ბოლოს, გზა თუ მაინც მეორდება, ხალხი ხომ იცვლება? ალბათ, ყველაზე ფასეული, რაც მე გამიკეთებია და რასაც ვაკეთებ, ისაა, რომ ბევრს შევაყვარე მთაში სიარული. ბევრი მათგანი შესანიშნავი მთამსვლელი დადგა და სწორედ ეს მახარებს. მახარებს, რადგან მთამსვლელობას ჩვენს ეროვნულ სპორტულ სახეობად ვთვლი. მართალია, ბევრი მთამსვლელი არ გამხდარა, მაგრამ კარგი მოქალაქე კი დადგა, რადგან მთაში სიარულს, იქ შეძენილს და აღმოჩენილს მათთვის უკვალოდ არ ჩაუვლია — მეგობრობის ფასიც გაიგეს და სამშობლოს სიყვარულიც იგრძნეს.

ავთანდილ გურასაშვილი.

ავტორის ფოტო.

(დასასრული იქნება)

თენგიზ ცქიტიშვილი

ქართულმა სპორტულმა საზ
დოებრიობამ დიდი დანაკლის
ნიცადა. გარდაიცვალა სკპ
რი 1960 წლიდან, „დინამოს"
სპუბლიკური საბჭოს ხანუ
ნო და სათამაშო სპორტის
ობათა განყოფილების უფ
სპორტის ოსტატი, საქართვე
კალათბურთის ფედერაციის
რი, „საპატიო დინამოელი"
გიზ ცქიტიშვილი.

თენგიზ ცქიტიშვილი და
1935 წელს. შრომითი საქმი
დაიწყო საქართველოს ფიზ
ტურის ინსტიტუტის დამთავ
შემდეგ. მუშაობდა სხვად
ხელმძღვანელ თანამდებობებზ
ნაგან საქმეთა ორგანოებში,
ამთავრა თბილისის უნივერ
ტის იურიდიული ფაკულ
1966-1981 წლებში თბილისის
ნამოს" ფიზკულტურულ ჯგუ
ხელმძღვანელობდა. შრომი
ვარეობით, მინდობილი საქ
დმი ერთგულებით გამორ
მუშაკს მიღებული ჰქონდა
ვრობის ჯილდოები.

თენგიზ ცქიტიშვილს
წვლილი მიუძღვის იმ წარმა
ში, რასაც შარშან ჭაბუკთა
ვშირო თამაშებზე მიაღწიეს
მა კალათბურთელებმა, ჩოგბუ
ლებმა და მოჭადრაკეებმა.

წავიდა ჩვენგან ღირსეულ
როვნება და დაგვიტოვა ნა
ხსოვნა, რომელიც არასოდე
ფერმკრთალდება იმათ გუ
ვინც მას იცნობდა.

„დინამოს" რესპუბლი
საბჭო.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევ
9 იანვარი. დილის ტანვარ
— **9.00 (2);** საერთაშორისო
ხელდრა ჰოკეიში: „ბუფალო
იბრზი" (აშშ) — „დინამო"
სკოვი) — **19.10 (1);** რიტმ
ტანვარჯიში — **20.30 (2);**
პის ჩემპიონთა თასი კალ
რთში: „ჟალგირისი" (კაუ
— „ციბონა" (იუგოსლავი
21.20 (2); სსრ კავშირის ჩ
ონატი ფიგურულ ციგურა
— **22.40 (1);**
10 იანვარი. საერთაშო
ტურნირი ფეხბურთში: ბ
— სსრ კავშირი II —
(2); სსრ კავშირი I — სა
ნგეთი — **20.55 (2);** სსრ
შირის ჩემპიონატი ფიგუ
ციგურაობაში — **22.40** (
საკავშირო რადიო. 9
ვარი. დილის ტანვარჯიშ
6.15 და **7.15;** „ყურადღ
სტარტზე!" — **8.40;** საწა
ტანვარჯიში — **12.00.**
საქართველოს რადიო.
იანვარი. დილის ტანვარჯ
6.23; სპორტის მოყვარულ
ვის — **13.30.**

ევროპის საკლუბო
ტურნირები კალათბურთში

ერთი ქულით

პარიზი. გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მორიგი მეოთხედფინალური შეხვედრა ადგილობრივ „სტად ფრანსესა" და მოსკოვის ცსკა-ს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 83:82. ეს არმიელთა პირველი დამარცხებაა გათამაშების წინასწარ ეტაპზე.

წიგნის თარო

კარგი ბროშურა

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტს გივი გამრეკელს კარგად იცნობს ჩვენი მკითხველი. დღე არ გავა, ამ სპორტზე უსაზღვროდ შეყვარებულმა კაცმა ცინცხალი და, რაც მთავარია, ფალრესად საინტერესო ინფორმაცია ან მოზრდილი წერილი არ მოიტანოს რედაქციაში. ამიტომაცაა, ალბათ, მის გამოჩენას რაღაცნაირი, სრულიად განსხვავებული სიხარულით რომ ვხვდებით ხოლმე.

გივი გამრეკელი მარტო რედაქციების სტუმარი როდია. მას კარგად იცნობენ ჩვენი გამომცემლობების მუშაკებიც, ავტორს არაერთი კარგი წიგნითაც გაუხარებია მკითხველი. და აი, სულ ახლახან კიდევ ერთმა მშვენიერმა ბროშურამ იხილა მზის სინათლე. იგი ჟურნალ „დროშის" ბიბლიოთეკის სერიით გამოვიდა. ავტორმა წიგნს „მხიარული და სერიოზული პაიჭაძე" უწოდა. ეს არის პატარა ამბების კრებული, რომელშიაც გ. გამრეკელი საინტერესოდ გვიცოცხლებს ბორის პაიჭაძისა და მიხეილ მესხის დროინდელ პერიოდს. აქვეა „მინი-ინტერვიუ" ჩვენი თეატრის მშვენებასთან, ცნობილ რადიოკომენტატორთან ეროსი მანჯგალაძესთან. ავტორი გვესაუბრება საერთაშორისო საფეხბურთო ცხოვრებაზეც, ბობი ჩარლტონსა თუ ბობი მურზე, ზიკოზე და პლატინიზე, მარადონაზე თუ ბეკენბაუერზე...

დავით დევიძე.

რედაქტორის მოად
თ. გაჩეჩი

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი ინდექსი:
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშ
ლენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება
ტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22